

კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის განყოფილების დებულება

მუხლი 1. მიზანი და ამოცანები

- 1.1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ადმინისტრაციაში ფუნქციონირებს კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“), რომლის მიზანია განახორციელოს/დაუკვეთოს შრომის ბაზრის გამოკვლევა, დაადგინოს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიები და ამ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს წინადადებები უნივერსიტეტში განათლების დაგეგმვის, ორგანიზებისა და მიწოდებისათვის;
- 1.2. განყოფილების მიზანია სტუდენტის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის და მისი კარიერული წარმატებისათვის ხელშეწყობა;
- 1.3. განყოფილების მიზანია მოამზადოს სტუდენტი პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობის შესაბამისი უნარ-ჩვევებით;
- 1.4. განყოფილების ფუნქციონირების ძირითადი ამოცანაა შრომის ბაზარზე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საუკეთესოდ წარმოჩენისა და მათთვის კარიერული წინსვლის (დასაქმების) ხელშეწყობა.

მუხლი 2. ძირითადი ფუნქციები

კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის განყოფილების ფუნქციებია:

- 2.1. პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმებისა ან/და ხელშეკრულებების გაფორმება, სტუდენტთა პროფესიული (საწარმოო) პრაქტიკის, კურსდამთავრებულთა სტაჟირების ან/და დასაქმების პირობებთან შესაბამისობის ტრენინგების გავლის პირობებით;
- 2.2. სტაჟირების, საწარმოო პრაქტიკისა ან დამსაქმებელთან ტრენინგების ორგანიზება;
- 2.3. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დამსაქმებლებთან შეხვედრების ორგანიზება; „დასაქმების ფორუმის“ ორგანიზება;
- 2.4. შრომის ბაზრის კვლევების ორგანიზება/დაკვეთა და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისად წინადადებების მომზადება უნივერსიტეტში განათლების დაგეგმვის, ორგანიზებისა და მიწოდებისათვის;

2.5. უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, მათ შორის, ფაკულტეტებთან, სხვადასხვა შეხვედრების გამართვა, კოორდინაციული და მუდმივად განახლებადი ურთიერთობის წარმართვა, ინფორმაციის გაცვლის და მომავალი სტრატეგიული გეგმების დასახვის, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მუდმივად განახლებად მოთხოვნებთან ადაპტირების მიზნით, ამ პროცესში სტუდენტების ჩართვის ორგანიზება;

2.6. სტუდენტებისათვის პოტენციურ დამსაქმებლებთან ურთიერთობის სრულყოფაზე ორიენტირებული შესაბამისი უნარ-ჩვევების განმავითარებელი ტრენინგების ორგანიზება.

მუხლი 3. საქმიანობის წესი და ანგარიშვალდებულება

3.1. კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობას წარმართავს კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯერი;

3.2. მენეჯერს, შეიძლება ჰყავდეს ფაკულტეტებზე კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის კოორდინატორები;

3.3. კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯერი თანამდებობაზე ინიშნება და თავისუფლდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ბრძანების საფუძველზე. მენეჯერი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია რექტორისა და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წინაშე;

3.4. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის განყოფილების საქმიანობის დაფინანსება, მენეჯერის მიერ მომზადებული ყოველწლიური დაგეგმილი აქტივობების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე;

3.5. კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის განყოფილებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ინტერნეტში გამოყოფილი აქვს სივრცე, სადაც განთავსდება სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და სტუდენტური მხარდაჭერის საკითხებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია / დოკუმენტი.